აღნიშნული სტროფის მეორე სტროქონში რუსთაველი ღმერთს ევედრება: „შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე საგანისა“. აქ ავტორი ეხება რელიგიისა და ეთიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას, ეს არის სიკეთე-ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში არ არსებობს ცალსახად ერთმნიშვნელოვანი შეხედულება ბოროტებასთან ბრძოლის საკითხში. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ძირითადად, ორად არის გაყოფილი კაცობრიობის აზრი. ერთნი აცხადებენ, რომ ბოროტება ძალით, ანუ იგივე ბოროტებით, უნდა დაითრგუნოს, მეორენი ფიქრობენ, რომ ბოროტება სიკეთით, სიყვარულით და პატივით უნდა დაითრგუნოს.

ამ საკითხზე, რომ ორადაა აზრი გაყოფილი ამის დამადასტურებლად მსოფლიო რომ არ შეეაწუხოთ, მარტო ქართული მწერლობის მაგალითები გვეყოფა. კონკრეტული ჩადრმავეების გარეშე, ზოგადად რომ გადავავლოთ თვალი ქართულ მწერლობას, შევნიშნავთ, რომ ბოროტების სიკეთით დათრგუნვის მომხრეა დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე ილია ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ აცხადებს, რომ „კეთილი ფარად უფარე შენზე ბოროტის მდომსაო, სიკეთის წყაროს ასმევე ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

ახლა გადავხედოთ რას ფიქრობს მეორე ნაწილი ქართული მწერლობისა. იგივე ზედაპირულად თვალის გადავლებით ჩანს, რომ ბოროტების ძალით ანუ ბოროტებით, დათრგუნვის მომხრეა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და ჭავჭავაძე ამირეჯიბი.

ვაჟა-ფშაველა ბევრს ფიქრობდა ამ საკითხზე და ბოლოს ბოროტების ძალით დათრგუნვის მხარე დაიჭირა, მარტო ერთ მაგალითს მოვიყვანოთ მისი ნააზრევებიდან. ვაჟას აქვს ერთი ბრწყინვალე პოემა „სვინდისი“, რომელსაც ვაჟას

მკვლევარები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, არადა, იგი მის პოემებს შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანია, რადგან იგი პასუხს სცემს ურთულეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემას. პოემის მოკლე შინაარსი ასეთია: სვინდისი, როგორც აღამიანში ჩადებული სიკეთე, აუჯანყდა ღმერთს და ეუბნება, რომ აღამიანებმა გამომაძევეს თავიანთი გულებიდან, ჩემს მაგივრად ბოროტება ჩაასახლეს, ეღამიწამე აღარ დამეღმომება და წამიყვანე შენთან ცაშიო, ღმერთი უარმეა, ასე გრძელდება დავა მათ შორის. ბოლოს გაჯიუტებულ ღმერთს, რომელსაც არ უნდა აღამიანები დაგოვოს სინდისის გარეშე, სინდისი მიმართავს: „ჰოი, უფალო, მიშველე, ვკვდები! ვეღარ სვრის, ღმერთო, ჩემი მხნობა, სხვა ხალხი გაჩნდა და სხვა მხნობა, განა არ უწყი, რისთვისა მგანჯავ, მარგალიგ სიგყვებს ვისთვისა მხარჯავ?“ სასიკვდილოდ განწირული სვინდისის ეს სიტყვები როცა მოესმა ღმერთს — „მამინ ვანსა წყრომა ციდანა, ვით ანაფეთქი ნაღმი კლდიდანა“. ღმერთი ციდან ეუბნება სვინდისს, რომ შენი წაყვანა — „არ შეიძლება! ვიბრძანებ კვალად განასაქტაკო ქვეყანა ძალად, დააღვე თავე ამოწვდილ ხმალად“. აი, აქ ჩანს ვაჟას შეხედულება აღნიშნული პრობლემების შესახებ, რომ სიკეთე ძალით, ანუ აწოწვილი ხმლით, უნდა დააღვეს ბოროტებას თავზე, რათა განვასაქტაკოთ ქვეყანა ძალით.

ჭაბუკ და მისი დათა თუთაშნია თავს იმტყუვენ იმაზე ფიქრით, დაუპირისპირდნენ თუ არა ძალით ბოროტებას და დიდი ფიქრისა და განჯვის შემდეგ ძალის მხარეზე დადგებიან.

რუსთაველიც ხომ პირდაპირ შესთხოვს ღმერთს, რომ დამიფარე ბოროტებისაგან და მომეცი ძალა იმისა, რომ შემეძლოს „დათრგუნვა მე საგანისა“. ამ სიტყვების დასტურია ის, რომ მთელ პოემაში ვეფხისტყაოსნის გმირები სხალამოწვილი იბრძვიან საგანის, ანუ ბოროტების, დასათრგუნვად.

3. „სიკვიდმდე გასაგანისა“
სიკვიდმდე გასაგან სათხოვართა შორის რუსთაველმა სიყვარული აირჩია და ღმერთს შეევედრა: „მომეცი მიჯნურთა სურვილი სიკვიდმდე გასაგანისა“. ისმება კითხვა-პლაცონის ფილოსოფიაზე აღმრდილმა რუსთაველმა რატომ არ შესთხოვა ღმერთს „მომეცი სიკეთის სურვილი სიკვიდმდე გასაგანისაო“ როცა პლაცონი თავის იდეათა სამყაროში ყველაზე მაღლა სიკეთის იდეას აყენებს. რუსთაველმა პლაცონისაგან განსხვავებით სიყვარულის იდეა სიკეთის იდეაზე მაღლა დააყენა და სამარ-

თლიანადაც, რადგან დირებულებითი შკალაზე სიყვარული ყველაზე მაღლა დგას, იგი ყველა სხვა დირებულებითი საფუძველია და, მათ შორის, სიკეთისაც.

კორინთელთა მიმართ გაგზავნილ პირველ წერილში პავლე მოციქული განიხილავს აღამიანის ნიჭიერების საკითხს და აღნიშნავს, რომ აღამიანებს სხვადასხვა რამის ნიჭი დაბეჭება, ზოგს — სასწაულმოქმედების, ზოგს — წინასწარმეტყველების, ზოგს — სულების გარჩევის, ზოგს — ვნების შესწავლის და სხვა. მაგრამ, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს აღამიანი, ყველა ნიჭზე მაღლა მაინც სიყვარულის ნიჭი დგას, რადგან ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. პავლე მოციქული თავის წერილში აღნიშნავს: „თუ მე აღამიანთა და ანგლოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ვდარუხა რვალი ვარ ან ჩხარუხა წინწილა“.

„წინასწარმეტყველების ნიჭი რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნა რომ ვუწყოდე, სრული რწმენა რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერია ვიქნებოდი“.

„მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გაეწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი მაქვს“ (მოციქული პავლეს პირველი წერილი კორინთელთა მიმართ 13.1, 2, 3).

როგორც ვხედავთ, აღამიანის მიერ ჩადენილ არცერთ სიკეთეს დირებულება არ გააჩნია სიყვარულის გარეშე, ამიტომ ვევედრება რუსთაველი ღმერთს სიკვიდმდე მომეცი სიყვარულის ნიჭი და სურვილი.


4. „შენ თანა წასაგანისა“
სტროფის ბოლოს რუსთაველი ღმერთს შესთხოვს, მომეც „ცოდვთა შემსუბუქება, შენ თანა წასაგანისა“. შოთა როცა ამტყვებინურ სათხოვარს მორჩია, საიქიოში წასაღებს, ანუ „შენ თანა წასაგანის“, სთხოვს ღმერთს, როგორც ვიცით, გარდაცვალების შემდეგ აღამიანი ყველა გვირთს სააქიოში გოვებს, საიქიოში კი მხოლოდ ერთადერთი გვირთი მიჰყვება, ეს არის მის მიერ ჩადენილი ცოდვების გვირთი და შოთაი ამ გვირთის შემსუბუქებას სთხოვს ღმერთს.

კი ბატონო, დავით აღმაშენებელს ქვეყანა და აღამიანთა ბედი ედარა და შეუძლებელია ცოდვა არ ჩაედინა, რადგან პოლიტიკა ცოდვასთან თანაზიარია, ამიტომ დაწერა „ვალობანი სინანულიანი“, მაგრამ რა ცოდვა მქონდა კაცს, რომელიც მხოლოდ აზრი იყო და „ბედი კაცთა მას არ ედარა“? მიუხედავად იმისა, რომ სხვა ბედი არ ედარა, რუსთაველმა იცოდა რომ სიციხეზე არ არის „სამთობის კარი ღია“, იგი განჯვავა მან იცოდა, რომ აღამიანში ჩადებული ღმერთი და უშმაკიც, სხეული და სული, გრძნობა და გონება, ხოლო ამ დაპირისპირებულთა ბრძოლის ასპარეზი აღამიანის გულია. გულის შეუახება, დახახათება კი ჯერ არავის მოუკია შოთას მსგავსად იგი წერს: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღობელი გული-კამ-კამად ყოველთა ჭირთა გობო, ლხინთა მდომელი, გული ბრძა, ურბი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამბობელი, ვერცა პაგრონობს სიკვდილი, ვერცა პაგრონი რომელი“. აღამიანი, რომელიც ასეთი „კრული“ გულის პაგრონიად არ შეიძლება რაიმე ცოდვა არ ჩაედინა, ამგვომ რუსთაველი მისი გულის მიერ ჩადენილ საიქიოში „წასაგან“ ცოდვთა შემსუბუქებას სთხოვს ღმერთს.

აღნიშნული სტროფი ლოცვაა ადგილობრივი ღმერთისადმი, რომელსაც ყველა აღამიანი უნდა იმეორებდეს ყოველდღე, რათა ამაღლდეს და სრულდეს თავისი თავი.

დოც. ივანე პაპიაძე

შურნალი „ბაბილო“



შობის მარტვის დაწყების წინა დღეებში ქუთაისის კუბანის რაიონის ლიცეუმში მოეწყო ახლახან შობილი შურნალი „ბაბილო“ წარდგენა, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ღირებულებები, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები, დიპლომატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელები, განათლების საქალაქო განყოფილებისა და რეგიონალური სამმართველოს მუშაკები, მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

შეხვედრას უძღვეოდა კუბანის რაიონის ლიცეუმის დირექტორი ქნი შიდა ყანაველი, რომელმაც დამსწრეთ მთელი სიტყვიერების მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდური შურნალის დახმარებით და მწვენი ვა უსურვა მას. შურნალის დაარსება შემოხვედრით არ ყოფილა. მას წინ უძღოდა ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ხანგრძლივი, სერიოზული მუშაობა საგნის მწვენიერ პრობლემურ საკითხებზე, შიდასალიცეუმო და რესპუბლიკურ კონფერენციებში სისტემატურად მონაწილეობა, შურნალი „განთიადსა“ თუ გაზეთ „სანთელში“ თანამშრომლობა. ეს დარბაზი არის მოწვევიმ და ცხოველებული კამათის, მოხელის, სუბაბაისის, რომელიც ჩვენს ლიცეუმში წლების მანძილზე იმართებოდა „ბაბილო“ ყოველდღე ამის ლოკალი დაგვირგვინებაა, — განაცხადა მან.

ქნი შიდა ყანაველი წარუდგინა ლიცეუმის კურსდამთავრებული, ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, გიორგი წურწუში, რომელმაც მხატვრულად გააფორმა შურნალი.

შეხვედრის მონაწილენი: ლიცეუმის პედაგოგიური კოლექტივი და მასწავლებელ-ახალგაზრდობა, შურნალი და მისი მკითხველი, მოწვეული სტუდენტები და ამ დონის მიხედვით ორგანიზატორები ქუთაის-განათლებლობის მიტროპოლიტის, მუხუცი კალისტრატეს ლიცეუმის მკითხველი დალოცა წმინდა დავით კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა თაბუკი. შურნალის მოწინავე წერილები დაფრანგობით მოსწავლეობის წარმოადგინეს მონტაჟი, რომლითაც მხატვრულად იქნა განსაზღვრებული შურნალის სახელწოდების, ემბლემისა და დევიზის მიმართება. ამჟამად გასწავლავს, რომლითაც მოსწავლეთა გამოხვევა იყო დამუხტული, ყოველ უფრო აფაქიზებდა „შენ ხარ კუნაისის“ მომხიბლავი პანგები, რომლის ფონზეც ეს დონის მიხედვით მიმდინარეობდა; ხარების ტაძრის მგალობელ ვაჟი მიერ შესრულებული ამ საკალობის მხატვრულმა მთელი არსებით იქნა შექმნილი ქუთაისის მუსიკალური სიტყვიერება: „გალობა არს სხა ანგელოსთაში შემსგავსებული“ და, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი“ რომ ფერწერაში წარმოადგინა, ამდგარი ქრისტეს საფლავთან ყინვისის მრევლის ვიზუალის წამებზე ხატებას დაიხსნა.

როსა დედაბრძანა — შურნალი „ბაბილოს“ რედაქტორი.

შურნალი „ბაბილო“ ჩემი სუთი წლის ფიქრის, იტყვის, ხატებისა და სურვილის აცხადებაა. სიტყვიერების მასწავლებლობის განსაკუთრებით შურნალი „ბაბილოს“ არსებობის შეწყვეტა (მისი რედაქციის შექმნისას მზე ვახლდით) მასწავლებლობის დასრულების ინსტიტუტის უფროსის, მადლი სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის ხელმძღვანელობის (სილით ათი წლის მანძილზე სახელმძღვანელო ახალი წიგნებით არ შევსებულ) თუ მეორეული სამსახურის გაუქმება საქართველოს მთელი იყო იმისათვის, რომ გამწვანდა და დიპლომატიკის სფეროში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჰქონოდათ საკუთარი შურნალი, რომელშიც თავიანთი ცოდვისა და უპოვებლობის ქართულიადაც ვიზუალურად შექმნილიყო, სიტყვიერება, ამ სურვილის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა იყო და კავშირით.

რბული, მაგრამ ღვთის შეწევნით, ყველა წინააღმდეგობა, ტყვეობა და იმედგაცრუება უკან დარჩა და ქვეყანას მოეწვინა ახალი შურნალი, რომელიც ჩემი დრმა რწმენით, სიტყვიერების მასწავლებლობა სამაგიდო წიგნებს შორის გამოირჩეულად იქნა დაიკვირებდა.

„ბაბილოს“ საფუძვლად უდევს ქრისტიანული აზროვნება, ქრისტიანული მრწამსი და მსოფლმხედველობა, რაც მის პირველსავე ნომერში თვალნათლივ გამოიკვეთა. შურნალის მიმართულების განმარტება მხატვრულად წარმოგვიდგება სათაურით — „ბაბილო“ ემბლემა — გადაშლილი წიგნზე გამოხული წმინდა ბარბადი და დევიზი — „ხუთ ამის-განი ყოველთა“ რომელიცაც საერთო იდეა, საერთო სულისკვეთება და მიზანდასახულობა მსჭვალავს.

იმის გამო, რომ შურნალის პროფილის საგანგებო განსაზღვრამ თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, აუცილებლად მიმართა განმარტო: მხატვრული ნაწარმოების ქრისტიანული კვლევის აუცილებლობაზე მსჯელობა ქრისტიანულ ამბარებლობასთან დამოუკიდებლობის განსაზღვრას როდი გულისხმობს. რწმენის არჩევანი თითოეული ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულებაა და მასზე შემოქმედების უფლება არავის გააჩნია. მაგრამ არსებობს უნივერსალური კანონი, რომლის თანახმადაც შემართული ლიტერატურის სწორი წაკითხვა-შეხვედრა ყველას თანაბრად მოეთხოვება, ეს კი ბიბლიური პირველწყაროს გააზრების, ქრისტიანული მწერლობის უმთავრესი არის წვდომის, მისი დოგმატიკისა და კანონის, პარადიგმულ სახეთა გაათავისუფლების გარეშე შეუძლებელია. ვფიქრობ სადავო არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ორსაუკუნოვანი წყვედი არცთუ მეტი დრო აღმოჩნდა „შეხვედრის წიგნთა“ კითხვის კულტურის წარსახობად, ხენში ხის ნაყოფსავე ზეთისხილთან გასათანაბრებლად „ღვრსა“ და „წველის“ გასაივებლად. თავი იჩინა საღვთისმეტყველო საკითხების ათეისტურმა ინტერპრეტაციამ. წინაპართა თავგამებლობაში სექტიკურმა დამოკიდებულებამ, წმინდანთა ცხოვრებისა და ღვაწლის მომხმარებლობა შეფასებამ. არცთუ იმეათად იკავებს ვახსი იყო „ახლებური“, „ორიგინალური“ აზროვნება, რომლის თანახმადაც მუშაობა დედოფლის თავდადება დიდების მოყვარობად ცხადდება, აბოს გაქრისტიანება — მოძველდალატად, ზენონის მიმტყველობა — ლანჩობად, აშტო მეფის მრუშობა — სიყვარულად, გრიგოლ ხანძთელის შეუვალობა — გულქვობად, დედა ფებრიონის პრინციპულობა — ბოროტებად, განდევნილის თვითგადება — ეგოიზმად... ამკარად გამოიკვეთა გაუცხოება საღვთისმეტყველო საკითხების, ძველი და ახალი ათეისტული სახე-სიმბოლოების, სასულიერო მწერლობისათვის მკვიდრი ტერმინოლოგიის მიმართ. გარდასულ დღეთა კუთვნილებად იქცნენ ეგრეთ წოდებული „ძველი ქართული“ შექმნილი ტექსტები, არადა, თანამედროვე მწერლობა ხომ მათგანაა ამოზრდილი, მისი სახისმეტყველებითი შინაარსი ხომ მათგანაა კოდირებული... დასამალი არ არის, რომ ამ ფესვებს ნებსით თუ უნებლით მოწვევნილი მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, რატომ უწოდა გურამ დონანაშვილმა თავის ცნობილ რომანს „სამოსელი პირველი“, რატომ მაინცდამაინც მწვენი ცხენის მხედრად წარმოუდგა სულთმობრძე თამარ შერვაშიძეს თარამ ემზარი, ან ათი ქალწული რად ელოდება ასე სულმოუთქმელად ერთადერთ სიძეს გალაკტიონის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით...

ჩვენს ლიცეუმში ამ მიმართებით ძალზე საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს. შურნალში წარმოგვიდგინა ავტორთა: მაკა და ზარანდის, ეკა მხეიძის, ირმა შიშინაშვილის, ბელა დურგლიშვილის, ნანა ცანავას, ქეთევან ჭოღოშვილის ნაშრომები ამის მკაფიო დახატურება.

დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ ავთანდილ ნიკოლეშვილს, რომელმაც გულწრფელად გამოხატა თავისი თანადგომა ჩვენი წამოწყების მიმართ, უნივერსიტეტის გამომცემლობის გრიფიც უყოყმანოდ მოგვანიჭა.

„ბაბილო“ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის მივანწვდინეთ. ჩემი სურვილია, იგი მთელი საქართველოს კუთვნილებად იქცეს, ამიტომაც ჩვენთან თანამშრომლობას ვთხოვ ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება.

შურნალი „ბაბილოს“ ღირსებებსა და ნაკლოვანებებსზე ისაუბრებს პროფესორებმა: ავთანდილ ნიკოლეშვილმა და ტარიელ ფურცკარაძემ, დოქტორებმა: ომარ გვეტაძემ და ზენონა კიკვიძემ, განათლების რეგიონალური სამმართველოს უფროსმა ქეთევან კიკიაძემ, ენის სახელმწიფო პალატის რეგიონალური განყოფილების უფროსმა მერაბ ამბროსიძემ, შურნალი „განთიადის“ მთავარმა რედაქტორმა ავთანდილ ფურაშვილმა, შურნალი „განთიადის“ განყოფილების გამგემ მადეა ჩოგოვაძემ, პოეტმა ზაალ ებანიძემ, გაზეთ „განთიადის“ რედაქტორმა დიდი აბაღაძემ, კუბანის რაიონული ლიცეუმის პედაგოგებმა: ბელა დურგლიშვილმა, ნანა ცანავამ, ლტოლვილთა სკოლის სიტყვიერების მასწავლებელმა ქეთევან ჭოღოშვილმა. (იხტყვება შემოკლებით) **მარინა შაქვია**

გაზეთ „ქართული“ ხედაქცია

მეორეჯერ „ქართული“ გილოცავთ ახალ 2002 წელს. ღვთის წყალობა არ მოგკლავთ. შობის მადლით, ჯანისა და გონის ხიბრთვით გველოთ შემოქმედებით გაზეთ და გვეკეთებინოთ ქართული საქმე.

ნაციონალური მენეჯერული კვლევით მომზადებული პოპულარობა გამხდარიყოს თქვენდამი დიდი სიყვარულის მეტ ზური ქართულის საქართველო!

თქვენი გაზეთისადმი ჩემი ყურადღება განაპირობა სიტყვამ ქართულმა, მხოლოდ იმ ინტერპრეტაციით, რომ თქვენდამი მოწვევნილი ჩემი წერილები არ იქნება სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის, რადგან თქვენი გაზეთი სკოლებსა და ლიცეუმების ინტერესებსაც მთიაცავს. ამ ორგანიზაციაში ხელი მიუწვევდით მასწავლებლებსა და მასწავლებლებს, მსურს გაეცნოთ მრავალთაგან იმ მასწავლებელთა ნაზრევს, რომლებიც ქართულ ენის გაკეთებულ მიცემულ თავისუფალ თემაზე მუშაობის დროს, თუ როგორ ფიქრობენ, ეძებენ, აფასებენ, ქმნიან და სწამთ, რომ საძირკველშივე, ჩადუნებულ საჯილდო ქეთავან ამოშენებული კედელი არა თუ ძნელად, არამედ საერთოდ არ წაიქცევა... მათ მომავლის ჯერით, მისთვის და მათთვის იხინი მშვენივრად ითავსებენ დღევანდელი ცხოვრების აუკარვს და თავისებურად განსჯიან...

იქნებ, თქვენს გაზეთში გამოიძენოს გვერდი, სადაც მათაც დაეთობა ადგილი თავიანთი პოზიციის გამოსახატად... (მიმანია, დიდად შევეწყობთ ხელს ქვეშაობისთვისაც, სავალი იმ გზის მოძებნაში, რომელიც ტარდამდე მიდის...)

ახიზრებად არ ჩამომართვით, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, თუ ობიექტურობაში გასხვიონ-ნდება, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

წინასწარ ვიხდით მადლობას.

მამა ხაჭაპურიძე
ი. იცხელის სახელობის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გულისყურით ვავეცანით ქალბატონ მაიას მიერ გამოგზავნილი თქვენს ამჯერად ვებქვადვთ ერთს — იცხი, რატომ ვიცი? შევეცდებით დანარჩენებით გამოვაქვეყნოთ.

ბუნებით საკმაოდ მხიარული ვარ, იშვიათად მეუფლება მელანქოლია, მიუხედავად ჩემი მხიარული ბუნებისა მეც მიგონია, მაგრამ ეს იმდენად პირადულია, რომ მინდა მიგზემ ჩემი ცრემლებისა ჩემში დარჩეს.

ახლა კი მინდა გაიზომოთ ერთი შემთხვევის შესახებ, ამ ბოლო დროს ძალიან დაძაბული ვარ, ძალიან განვიცი საქართველოში მიმდინარე პროცესებს. განსაკუთრებით იმიტომ ველავ, რომ ჩვენი სკულენგობა ასე აქტიურად ჩაება ამ მოვლენებში. ამან კი რაღაც ვარკვეული იმედი მომცა. იმედი იმისა, რომ ჯერ კიდევ ვცოცხლობთ, ჯერ კიდევ ვარსებობთ, ესე იგი, არ გადავვარდებულვართ, მგრის მიერ ასე უხვად შემოგდებულ ნარკოტიკებს თუ პორნოფილმებს ჯერ კიდევ არ გადაუჯიშებვართ, ჯერ კიდევ ქართველები გვქვია და საქართველო გვცხვია.

იცით, რატომ ვიცი? რამდენიმე დღის წინ წავიკითხე, რომ „კვირის პალიტის“ კორესპონდენტი კოდორის ხეობის სწვევია და ჩვენს პარტიზანებთან ერთი დღე გაუგარებია. ხეობის გვირ დამცველებს, თურმე, აფხაზი სეპარატისტები სოხუმსა და გავრამი ბინებსა და დოღარებს შეჰპირებიათ, ოღონდ სეპარატისტული მთავრობა აღიარეთო. რამდენჯერმე ისიც უთხოვიათ, კოდორზე აფხაზური დრომა აგვამართინეთ, მხოლოდ ფოტოს გადავართეთო, მაგრამ სულ დედის ვინების გადავართეთო. კოდორის ხეობის დამცველ სვან ვაჟაკებს განუცხადებიათ: სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძობებით, ხაგზე ვვაქვს დაფიცებული, სანამ ერთი სვანიც ცოცხალი იქნება, კოდორის ხეობა ჩვენი იქნებაო. ამ სტრიქონების წაკითხვისას ცრემლებით ამევსო თვალები, ეს შუების, სამიამის ცრემლები იყო. მადლობა უფალს! რომ საქართველოს ქართველები შემოუნახა, რომ კიდევ გვეყავს ვაჟაკები, გვირები, სამშობლოს მოყვარულები, თავისი მიწის დამცველები.

სკოლაში რომ მივდივარ, ხშირად გავცქერი ბაგრაგის გაძარს და ვფიქრობ ჩემთვის, თუ რა დიდი შეცდომაა ჩვენგან დამცველი ან მგერი მართლაც მოგვერია, თორემ როგორ შეიძლება, რომ თუკი ეს გაძარი, რომელი ჩვენს ქალაქს თავზე დასცქერის ჩვენი იყოს და ის გაძარი, რომელიც ბედაშა აგებული — მგრისა.

ბაგრაგის გაძარიც და ბედის მონასტერი განა ბაგრაგ III მიერ არ არის აგებული? განა თავად მეუფე ბაგრაგ ბედაში არ არის დაკრძალული? განა აფხაზეთი საქართველო არ არის? განა ჩვენი მეუფები ასე არ იწოდებოდნენ: „მეუფე აფხაზეთი, რანთა, კახთა“ და ა.შ. მაშ რა გვჭირს? რატომ ვიქცევით მგრებად? რატომ ვერ შევივსეთ, რომ ჩვენი უვიციობითა და უგზური საქციელით სხვის წისქვილზე ვისხამთ წყალს. ჩვენმა მგერმა დიდებულად განახორციელა „გათიშე და იბაგონეს“ იმპერიული პრინციპი და შედეგიც სათანადო მიი-

იცი, რატომ ვიცი?

ანათა. აღმუვლებულმა და გამაგებულმა მგლებმა ჯავრი მოხუც მგელ გოგამზე იყარეს და დაფლითეს. ასეთი ყოფილა მგლური ბუნების კანონი და მორალი.

ამას წინათ წავიკითხე — ერთი ფრანგი გურისტი მცხეთის ჯვარს სწვევია და აღწრთოვანებული მისი ხილვით, თურმე ხელებით ვეფრებოდა და ვალერსებოდა უძველესი გაძრის კედლებს. მეორე უცხოელი კი გვლათის კედლებს კიცილია თუკი გადაშობილი ჩვენს გაძრებს და მონასტრებს ეფერებოდა და ესაუთუებოდა, ჩვენ რაღა გვემართება დალოცვილებო, ჩვენი მოვეფეროთ ჩვენ ქვეყანას.

ეს ჩვენი მთავრობის წევრები ასე გააფთრებით რომ იბრძვიან სკამის გულისთვის, ასე რომ ებრძობათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შენარჩუნებისათვის, განა დღეს ასეთ დღეში ვიქნებოდით? სისხლითა და ცრემლით დაიგბორა მთელი საქართველო. თუმცა, ჩვენში წესია, მამაკაცმა არ უნდა იგროს, ცრემლი ქალის ხედავია, გირიან ქართველი დედები, გაძრის ქართლის დედაც, ქვიობიან უცხოეთში გადახვეწილი სამშობლოს მონასტრული ქართველები.

ღვთისმშობელო! შენი წილხვედრია საქართველო, დაიფარე, შენი მადლიანი მოწყალების კალთა გადააფარე. აკმარე ამდენი განჯვა და ვაება. აკმარე ქართველ დედებს ამდენი ცრემლი, მოუვლინე საქართველოს მეფე-მგრონი რათა განკურნოს ერის დაწყლულებული ორგანიზმი, აყვავოს და აღლორძინოს მამული. დმერთო! ნუ ააგირებ ქართლის დედას, დეე, ამიერიდან სულ შეუბის და სიხარულის ცრემლი აფრქვიონ ქართველებმა... მე ახლაც ვიცი და ხომ მიხვდით რატომაც ვიცი?

ნაბა შაჰლავაძე
ქუთაისის იცხელის სახელობის გიმნაზიის X კლასის მასწავლებელი

საქართველო

სიტყვათა პლურალური, ანუ ენის მარჯალობა



შოთა
ჩიგივირის
გახსენება

გამოჩენილი მეცნიერი მრავალმხრივ სა-
ზოგადოებრივ-ორგანიზაციულ სამუშაოს
ასრულებდა. ის იყო ენათმეცნიერების
დარგში დოქტორის ხარისხის მონი-
ჭვებული საუნივერსიტეტო სპეციალი-
ზებული საბჭოს თავმჯდომარე, რეს-
პუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის
საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე, სა-
ქართველოს ისტორიის წყაროების კო-
მისის თავმჯდომარე, რამდენიმე სარე-
დაქციო კოლეგიის წევრი. მისი მეცადინე-
ობებით დაარსდა თბილისის უნივერსი-
ტეტში ტოპონიმიკური კვლევის ცენტრი.
საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შ.
ჩიგივირის ქუთაისში მოღვაწეობა. იგი
ქუთაისის სახელობის პედაგოგიურ ინ-
სტიტუტში კითხულობდა ლექციებს, იყო

გელათის სახალხო აკადემიის რექტორი.
ქუთაისლებს მუდამ ემახსოვრებათ მისი
სტუმრობა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი
აბაშიძესთან ერთად. იგი არასოდეს ტო-
ვებდა უყურადღებოდ ქუთაისლების მოწვე-
ვას და ყოველთვის აქტიურად მონაწი-
ლეობდა მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

განსაკუთრებით მასსოვს, როგორ გვეწე-
ვია თებერვლის თოვლიან დღეს, რათა მო-
ნაწილეობა მიეღო პედაგოგიურ ინსტიტუტში
აკად. აკ. შანიძის დაბადების საიუბილეო
თარიღისადმი მიძღვნილ კონფერენციაში.

აკად. შ. ჩიგივირი იმ ტიპის მეცნიერი
იყო, რომელიც არავისთვის არ იშურებდა
თავის დიდ ცოდნას. ამიტომ იყო ასე მრავ-
ალრიცხოვანი მის შეგირდთა წრე. ბედნი-
ერი ვარ, რომ ერთ-ერთი იმათგანი მეც ვარ.
დღეისა ტკივილი დღეს, რადგან ბ-ნ შ.
ჩიგივირის შესამკობად მოხმობილი ეპითე-
ტები წარსულ დროში გადავყავს და ნალ-
ვლიანად ვიხსენებ არც თუ შორეულ წარ-
სულში მასთან შეხვედრის ბედნიერ წუ-
თებს.

აკადემიკოს შ. ჩიგივირის სიცოცხლე
გრძელდება მის დიდებულ ოჯახში. მის მშვე-
ნიერ მეუღლესა და მეგობართან, რუსულან
ბოკერიასა და ღირსეულ შვილებთან, შვი-
ლიშვილებთან ერთად.
ქელს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე და
ულრმეს მადლობას ვწირავ ყველაფრისათ-
ვის.

დოქ. მარინე ქაცარავა

წვიმის გამოხატველი ლექსიკა ქართულ
სალიტერატურო ენაში და ქართველურ დიალექტებში

წვიმა ქართული ენის განმარტებით ლექსი-
კონში ასე განმარტება: წვიმა (წვიმისა) 1. ატ-
მოსფერული ნალექი, რომელიც წყლის წვეთების
სახით ეცემა დედამიწაზე. მაგალითად:
„ხშირად მოხეთქილს წვიმასა
სიპისა აქვის ღარები“.

(ვაჟა-ფშაველა)
„მოვიდა წვიმა, წვიმა წკრილა...
დასტოვა ცრემლი და ჩაიარა“.
(მორის ფოცხიშვილი)

2. რთული ფუძის მქონე შემადგენელი ნაწი-
ლი (ქარ-წვიმა, ნამ-წვიმა). მაგალითად:
„გავხედე; თრთოდნენ ქარ-წვიმის ხმაში
ქუჩები, ბევრჯერ გადანათელი“...
(ლალო ასათიანი)

წვიმს ზნა კი ასეა განმარტებული ქელგ-ში:
წვიმს - წვიმა მოდის გადაუღებლად.

ძველ ქართულ ენაში წვიმის მნიშვნელობით
ნაირგვარი ფორმები გამოიყენებოდა. სულხან-
საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით: წვიმა
- შხის შარავანდელი მიწითა და წყალთაგან
აღიღარ ცვრთა შერთავს ღრუბელთა და ღრუბელი
ველარ დაიტევს ჩამოადნენს წყმათა
წყმათა სახელნიცა განიყოფებანი:
ცუარი არს სინოტივისაგან ჰაერისა უღ-
რებულად მოსული ღამით და დიდულ ფურ-
ცელზედ მდგარი.

ნიფი არს ცვარის უმცირესი ნაწილი და ღუ-
აფი ცვარისა უდიდესი.

თქორი არს წყმა წვლილი და კაცთაგან ძნი-
ად სახილავი.

თქეში უხსოსი თქორისა, ვითა აღნაყარი რა-
მე.

ფრუტი არს თქეში ნისლოვანი, ანუ „ნისლი-
ანი თქორი“.

ფმურტილი არს ფუტისა უდიდესი და უფ-
რისად ნისლოვანი.

დეღამა არს წყმა დიდი და გვიან მომდ-
არებული.

ისხარი წყმა სწრაფი და ადრე მომდარებული.
ლოღო არის „წყმა დიდი და დამაბნელებელი
და ღვაროვანი“.

ქარიშხალი არს ქარნარევი ძლიერი წყმა.
შხაპი არს ანაზდი და ჩქარი წყმა.

ს.ს. ორბელიანი გამოყოფს წვიმის თერთმეტ
სახეობას, ანუ სახელს. აქედან თანამედროვე ქარ-
თულ სალიტერატურო ენაში მნიშვნელობა შეც-
ვლილია ცუარი, იგივე ცვარი, რომელიც წვი-
მის მნიშვნელობით დღეს საერთოდ არ გამოიყე-
ნება და სიტყვა ქარიშხალი, რომელიც თანა-
მედროვე ენაში ქარის სახელია. ასევე შეიძლება
ითქვას წვიმის სახელზე შხაპი. იმ მნიშვნე-
ლობას, რასაც ადრე შხაპი შეიცავდა, დღეს
მისგან განსხვავებული ფორმები გამოხატავენ,
როგორცაა „შხაპუნი“ და „შხაპუნა“ (წვიმა).
უდავოა, რომ თანამედროვე შხაპის (აბაზანის)
მნიშვნელობა, ძველი წვიმის სახელწოდება შხაპი-
საგან უნდა მომდინარეობდეს.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენა-
ში თვითონ მოქმედების, ანუ ატმოსფერული ნა-
ლექის, წვიმის მოსვლაზე ჩვეულებრივ იტყვიან
წვიმს, მაგრამ არის სინონიმური ფორმები, რო-
გორცაა:

ცრის, ე.ი. წვრილად წვიმს. მაგალითად:
„ღამეა, ცრიან წვიმის წვეთები“...
(ნ. ჯანჯავაძე)

გვხდება ასევე ფორმა ფინფლავს (ფინფლავს)
- წვრილად წვიმა, ცრა (წვიმისა) - თქორვა
(ქველ), ხოლო სახელი ამ ზნის მოქმედებისა -
ფინფლი - წვრილად წვიმა - თქორი. მაგალი-
თად:

„უხმოდ მიჰყვებოდა კონსტანტინეპოლის შფო-
თიან ქუჩებს [ნიანი] ოდნავ ფინფლავდა...“
(კონსტანტინე გამსახურდია)

წვიმის მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა ავ-
დარი - ცუდი დარი, წვიმიანი ამინდი, წვიმა
(ქველ) მაგალითად:

„ქარ-წვიმა იყო, თუ სროლა ისრის
სამაგალითოდ შენაქუჩების
მე მოვიარე საყდრო ნისლში
დედქალაქის ყველა ქუჩები“.
(ლალო ასათიანი)

არის სიტყვები, რომლებიც წვიმის როგორცაა
გამოხატავენ და ცალკე აღებული ორ მნიშვნე-
ლობას შეიცავენ. მაგალითად, სიტყვა „თავსხმა“
იგივეა, რაც დიდი, კოკისპირული წვიმა (ქველ)
- მაგრამ ცალკე აღებული აღნიშნავს, რომ წვიმს
და თანაც კოკისპირულად.

წვიმის სახეობები:

გერილი - წვიმა, რომელიც წამოუშენს და
მალე გადაიღებს (ქველ).
კოკისპირული (წვიმა) - დიდი წვიმა-თავსხმა
(ქველ).

შუფუნა (წვიმა) - ნელი და ხანგრძლივი (წვი-
მა), მქონე მნიშვნელობით შუფუნა - მშვენიერი
მოციმციმე, მარწყვანო (თვალუბა) (ქველ).
მანძახი - ხანგრძლივი, უსიამოვნო წვიმა და
სიცივე, ტყაპი, ტალახი (ქველ).

განსხვავებული მრავალფეროვანი და საინტე-
რესო ფორმები დასტურდება ქართულ დიალექ-
ტებში. სახელდობრ, ლეჩხუმურში გვხვდება ასეთი

სიტყვები:

ფეჟი - ფელეთი, კოკისპირული წვიმა;
ფეჟი - ძლიერი წვიმა, მფლავი;

მეჯეში - ძლიერი კოკისპირული წვიმა. თუ-
ცა, მქონე მნიშვნელობით ნალექისაგან ზოტა-
ნილ შლამს, ნაჯაოსაც აღნიშნავს;

წუმა (სიხვე როგორც გურულსა და იმერულ-
ში) ლეჩხუმურში ნიშნავს წვიმას. წუმ - წუმს
(ალ. ღლონტი);

იმერულ დიალექტში გვაქვს ფორმები ფე-
თი-ფეთა (ფეთისა) - კოკისპირული (წვიმა) -
ზღველა, ტუჭუნა - შუფუნა (ქველ);

ზემო იმერულში რეში - დიდი წვიმა, თავსხმა,
რეშეა, დარეშეა - დიდი წვიმა (ალ. ღლონტი).

კახურში გვხვდება განსხვავებული ფორმა
სხველურტი წვიმა, წვრილი წვიმა, თქორის მნიშ-
ვნელობებით.

ქიზიურ დიალექტში წვიმის აღნიშნავი
ფორმაა ფაფუნი. მისი ერთი მნიშვნელობაა სხმა,
მქონე სმა (ალ. ღლონტი).

ფშაურში გვაქვს ფინფლა - წვრილი წვიმა.
ფერვილდული ფორმა წიმა აღნიშნავს წვიმას.
გურულსა და ზემოკახურულში აღნიშნავს
ტერმინს სოროტი წვიმა, რომელსაც თხელ
წვიმას ეძახიან (ი. ტყონ).

წვიმის აღნიშნავი გურული ლექსიკა მი-
დარია ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშნავი
სინონიმური ფორმებით, ასევე მრავალფეროვ-
ანია ამგვარ ფორმათა წარმოება.

წვიმა--წუმაა. მცირე წვრილი წვიმა
ფინფლი, ლიფლი (სახა: ლეშხი), წინწყლი
წვიმა, ფუთქი/ფუნთხი წვიმაა. იგი ნიადაგს
საკმაოდ ვერ ასველებს.

მცირე წვიმის მოსვლა წამოფუტქვა, წა-
მოწინწყლია, წამონტქორვა, წამო-
შაშხუნებაა. წვრილად გაწვიმებაზე იტყვიან:
შხეფს (შდრ საბა: შხაპი), ფეინტლავს,
ფუნხავს, ფუთქავს, ტყუშპლავს,
შხამპლავს, წინწყლავს.

არასაკმაოდ გაწვიმება მიწის მოღაშებაა. გა-
ზაფხულის შუფუნა წვიმა საფურცლები წვი-
მაა, ბალახის მოსაფინი წვიმა - სკინიანის წვი-
მაა. გადაუღებელ წვრილ წვიმაზე ამბობენ: „ღა-
პატიფუტქვილი“ წვიმსო. ნისლიანი წვრილი
წვიმა ფეიბი წვიმა, ფეიბინია.

ძლიერი კოკისპირული წვიმა თხრიში-
ნი/თხროში (შდრ. საბა: თქეში - ღვარშალი
ზღვარდალი, ლეზმა/ლემა, ღვართქაფი/თვარ-
ქაფი, ღამშვეული წვიმაა.

ქარიან ამინდში ძლიერი წვიმა მოქნულია
(ზ. ტულუში).

საყურადღებოა მეგრულსა და სვანურში და-
დასტურებული წვიმის გამოხატვითი ლექსიკა.
მეგრულში ცუდ, წვიმიან ამინდს, ავდარს ხან-
დარა პქვია: მუ ხანდარა რე (რა ცუდი ამინ-
დია“).

წვიმა ჭვიმაა. ჭვიმს „წვიმს“. არსებობს
განსხვავებული ფორმები: მოჭვიმუა - წვიმა.
ჭვიმს - „წვიმს“.

წვრილად წვიმა, ცრა მეგრულად ქორუა (ც-
ელიაფი, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“).

ნიტაფი, ნეტაფი - ნიფი, ნიფვა, წვეთვა,
შდრ. თქერი, თქერვა, თქორი.

ფეჟი ჭვიმა, გელთცუნელი ჭვიმა - შუფუნა
წვიმა.

ცეზაფი - ფინფლი, თქორი, ფინფლი, წვრი-
ლი წვიმა.

ხელეღური - ისხარი, მაგარი წვიმა, ღლო-
ფო (პ. ჭარაია, „მეგრულ-ქართ. ლექსიკონი“).

მერენი - ქარამოტი, ქარიშხალი, დაუღვა-
რი წვიმა.

ჭოროფა - ხშირი წვიმიანობა, ზედმეტი ნეს-
ტი.

ზღვარზღვალი--ზღველა, ფეჟა - კოკის-
პირული წვიმა (ც. ელიავა).

სვანურში წვიმის აღმნიშნავი სიტყვა-ფორ-
მების მოძიებისას ვ. თოფურიასა და მ. ქაღა-
ნის მიერ გამოცემულ „სვანურ ლექსიკონს“
(2000წ) დავეყრდნობით. აღმოჩნდა, რომ ამ მნიშ-
ვნელობის ლექსიკური ერთეულები სვანურში
უხვად არაა. წვიმის სახელებიდან აქ ძირითა-
დად განარჩევენ შუფუნა წვიმას ვაველით რამ-
დენიმე ფორმას:

ხატჩხე (მალსხუმური); ახუნხხე (მალსხუ-
მური); ხაუჩხე (ლაშხური); ამხაუჩხე (ლურ-
ტხური) - აწვიმს.

მიშარე (რამ) მალსხუმური მიშარე-რამ
ლაშხური, შიშარე-რამ) ლენტხური -
შუფუნა წვიმა. შიშარე აწვიმს ვაველად მალ-
სხუმური) - იმ დღეს შუფუნა წვიმა მიწის
ქინილით მიშარად მალსხუმური მიშ-
პაროდ ლაშხური მიშაროდ ლენტხური.

ქართველური დიალექტური მასალის წარმო-
ჩენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კრძალ
მეცნიერთა მიერ გამოკვლეული ფორმები მწერ-
ლებს სალიტერატურო ენაში უდიდეს დამატე-
როს.

მარინე აბულაძე
ქუ ფილოლოგიის ფაკულტეტის
IV კურსის ბტელეტი

სწორი წყვილები

მოვსტაცე თუ მოვტაცე?

თანხმონით დაწყებული ზმნის ერთ ფორმაში ზოგჯერ თავს იყრის ორი
თავსართი. ეს ხდება პირველი სუბიექტური და მეორე ობიექტური პირების
შეხვედრისას: მოვსტაცე მე მას ის. პარალელურად გვხვდება მოვტაცე მე
მას ის. დღეს გამარტივებული ფორმა უფრო გავრცელებული და მას უნდა
მიენიჭოს უპირატესობა (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორ-
მები). ასევე:

მცდარია:

- მივსწერე
- ვკითხე
- მოვსტხოვე
- შევსწიველე
- შევკპირდი

მართებულია:

- მივწერე
- ვკითხე
- მოვსტოვე
- შევწიველე
- შევკპირდი



იმ შემთხვევაში, როცა ზნა ბოლოვდება მეორე სუბიექტური პირის -ს
ნიშნით და ობიექტური პირის მრავლობითობის მაწარმოებელი -თ დაერთვის,
მიიღება -სთ კომპლექსი: გიგზავნისთ, გაქებსთ... აგრეთვე ინვერსიულ ზმნებში:
გვაკვსთ, გაქვსთ, გქონდესთ, გმართებსთ...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს მიდრეკილება ამ -სთ
კომპლექსის გამარტივებისა -ს -ს ამოღებით. დასახელებულ ფორმათა პარალე-
ლურად გვხვდება: გიგზავნით, გაქებთ... გვაკვთ, გაქვთ, გქონდეთ, გმარ-
თებთ... დღევანდელი სალიტერატურო ქართულისთვის ეს ფორმები უფრო
ბუნებრივია.

ასევე მისაღებია გამოთქმები: ღმერთმა ნუ მოგიშალოთ! ღმერთმა გა-
ცოცხლოთ! ...გაგიმარჯოთ, ...გადღებდეთ...

რუსულან სალინაძე

